შ.პ.ს. სპორტმშენსერვისი

ქ. თბილისი

# რწმუნებულება

წინამდებარე რწმუნებულებით, უფლებამოსილება ენიჭება შპს "სპორტმშენსერვისის", ინფრასტრუქტურის, საპროექტო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის, საპროექტო განყოფილების უფროსს, ვალერი მიმინოშვილს (პ/ნ 01015001043), რათა მან წარმოადგინოს, შპს "სპორტმშენსერვისი" (ს/კ 204878542) მესამე პირებთან შემდეგ ურთიერთობებში:

ურთიერთობებში, რომელიც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია საზოგადოების წარმომადგენლობასთან ადმინისტრაციულ ორგანოში. ამგვარ ურთიერთობებში, ვალერი მიმინოშვილი უფლებამოსილია განახორციელოს საზოგადოების წარმომადგენლობა, რაც გულისხმობს:

საზოგადოების წარმომადგენლობას ადმიისტრაციულ ორგანოში საქმეზე, რომელშიც მხარის სტატუსით მონაწილეობს საზოგადოება, მათ შორის ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებშიც.

ვალერი მიმინოშვილს ენიჭება უფლება წარადგინოს შპს „სპორტმშენსერვისის“ სახელით, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში და ქ. თბილისის მერიაში (მერიის ყველა სამსახურში/საქვეუწყებო ორგანიზაციაში) დოკუმენტაცია მშენებლობის უფლების მიღების თაობაზე და ასევე ყველა ის დოკუმენტაცია რომელიც მოითხოვება მშენებლობის მისაღებად. ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს უშუალოდ შპს „სპორტმშენსერვისს“; მიიღონ ხელზე ადმინისტრაციული ორგანოს/თანამდებობის პირის გადაწყვეტილება. ასევე წარადგინოს ნებისმიერი შინაარსის განცხადება საზოგადოების სახელით.

არავინ არ შეიძლება ეჭქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმ მოტივით, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის და მათი განხორციელებისათვის.

წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია 2022 წლის 10 მაისს და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში, მის გაუქმებამდე ერთ-ერთი მხარის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დირექტორი:

გერონტი ცინდელიანი /----------/

ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N15ა
Tbilisi, Georgia, University str. N15a
☎ 0322 72 88 07
sportmshenservice@gmail.com
www.smsorg.ge